

# ელექტროობა



**პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის სახელწოდება ქართულ და ინგლისურ ენებზე, რომლის საფუძველზე შექმნილია პროგრამა:**

ელექტროობა/ Electricity

**ჩარჩო დოკუმენტის სარეგისტრაციო ნომერი, რომლის საფუძველზე შექმნილია პროგრამა:**

07313-3

**მისანიჭებელი კვალიფიკაცია ქართულ და ინგლისურ ენაზე:**

საბაზო პროფესიული კვალიფიკაცია ელექტროობაში / Basic Vocational Qualification in Electricity;

აღნიშნული კვალიფიკაციები განათლების საერთაშორისო კლასიფიკატორის ISCED-ის მიხედვით განეკუთვნება დეტალურ სფეროს - ელექტროტექნიკა და ენერჯია - კოდი 0713. აღმწერი - „შეისწავლის სამრეწველო და კომერციულ საწარმოებში, ასევე საყოფაცხოვრებო პირობებში ელექტრო გაყვანილობისა და ელექტრომოწყობილობების მონტაჟს, ექსპლუატაციას, შეკეთებასა და ხარვეზების დიაგნოსტიკას. მოიცავს მიწისქვეშა და მიწისზედა ელექტროგაყვანილობის სადისტრიბუციო ქსელების მონტაჟსა და ექსპლუატაციას. ენერჯია შეისწავლის ენერჯიის გენერირებას“.

## **მიზანი:**

პროგრამის მიზანია, შრომის ბაზრისათვის უზრუნველყოს კონკურენტუნარიანი კადრების მომზადება ელექტროობაში.

## **დაშვების წინაპირობა:**

- საბაზო განათლება.

## სწვლების ხანგრძლივობა დროში:

- ქართულენოვანი სტუდენტებისათვის - 34 კვირა;
- არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის - 44 კვირა;

## დასაქმების სფერო და შესაძლებლობები:

ელექტროობის საბაზო პროფესიული კვალიფიკაციის მფლობელს შეუძლია დასაქმდეს ნებისმიერ ორგანიზაციაში ელექტრულ დანადგარებისა და სხვა ელექტრულ აპარატურის მომსახურე პირად: ელექტრიკოსად; ელექტროტექნიკური სისტემების მემონტაჟედ; შენობის ელექტრიკოსად; მომმარაგებელელექტრიკოსად; ელექტრო-მექანიკოსად; ელექტროგაყვანილობის და ფიტინგების მემონტაჟედ; განათების სისტემების მემონტაჟედ; ხანძარსაწინააღმდეგო სიგნალიზაციის მემონტაჟედ; დამცავი სიგნალიზაციის მემონტაჟედ; ქუჩების განათების და ელექტრული სასიგნალო მოწყობილობების მემონტაჟედ; ასაფრენდასაფრენი ბილიკების განათების მემონტაჟედ; და მზის ენერჯის ელექტრული კოლექტორების მემონტაჟედ.

- ეკონომიკური საქმიანობების სახეების ეროვნული კლასიფიკატორის კოდი: 35;
- დასაქმების საერთაშორისო კლასიფიკატორის (ISCO) კოდი: 7411; 7412; 7413;

## სტრუქტურა და მოდულები

პროგრამა მოიცავს 4 ზოგად მოდულს ჯამური 10 კრედიტის ოდენობით, 4 საერთო პროფესიულ მოდულს 14 კრედიტის ოდენობით და 6 პროფესიულ მოდულს ჯამური 28 კრედიტის ოდენობით. „მოდულის, ქართული ენა A2 გავლა სავალდებულოა მხოლოდ იმ პროფესიული სტუდენტებისთვის, რომლებმაც პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლის უფლება მოიპოვეს „პროფესიული ტესტირების ჩატარების დებულების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 27 სექტემბრის ბრძანება №152/ნ ბრძანებით დამტკიცებული დებულების მე-4 მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებულ რუსულ, აზერბაიჯანულ ან სომხურ ენაზე ტესტირების გზით. აღნიშნული პირებისათვის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლება იწყება ქართული ენის მოდულით.“

- პროგრამის მოცულობა ქართულენოვანი სტუდენტებისათვის - 52 კრედიტი;
- პროგრამის ხანგრძლივობა ქართულენოვანი სტუდენტებისათვის - 34 კვირა;
- პროგრამის მოცულობა არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის - 67 კრედიტი;
- პროგრამის ხანგრძლივობა არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის - 44 კვირა;

№	საბაზო პროფესიული კვალიფიკაციის ზოგადი მოდულები	კრედიტი
1	უცხოური ენა - ინგლისური	4
2	მეწარმეობა 1	2
3.	პიროვნული და ინტერპერსონალური უნარები	1
4.	ინფორმაციული წიგნიერება 1	3

	ჯამი:	10
№	საერთო პროფესიული მოდულები	კრედიტი
1.	გაცნობითი პრაქტიკა ელექტრობაში	2
2.	საინჟინრო ხაზვა	4
3.	ელექტრული და ელექტრონული პრინციპები	4
4.	კომუნიკაცია ელექტრობის სფეროში	4
	ჯამი:	14
№	პროფესიული მოდულები	კრედიტი
1.	ჯანმრთელობა და უსაფრთხოება ელექტრობაში	4
2.	ელექტრული ტექნოლოგია	4
3.	ელექტრული მანქანების თვისებების და გამოყენება	4
4.	ელექტრული მონტაჟი	4
5.	მათემატიკა ელექტრიკოსებისთვის	4
6.	საინჟინრო პროექტი	8
	ჯამი:	28
	სულ:	52

### სტუდენტის შეფასების წესი, კვალიფიკაციის მინიჭების პირობები

1. სტუდენტის შეფასების წესი - იხ. სსიპ კოლეჯის „მერმისი“ მარეგულირებელი წესი მუხლი 10.
2. კვალიფიკაციის მინიჭების პირობები - იხ. სსიპ კოლეჯის „მერმისი“ მარეგულირებელი წესი მუხლი 14.

### პროგრამის განხორციელებაში ჩართული პარტნიორი დაწესებულებები:

- ✚ შპს „იფანი“
- ✚ შპს „მოდერნ ვილა“
- ✚ შპს „მეგობრობა“
- ✚ შპს „ანაგი“
- ✚ შპს „ელიტა“
- ✚ შპს „მეგა დორს“

## მისანიჭებელი კვალიფიკაციის შესაბამისი სწავლის შედეგები კურსდამთავრებულს შეუძლია:

1. აუწიოს დაზარალებულს პირველადი სამედიცინო დახმარება;
2. გამოიყენოს ელექტრული ტექნოლოგიები, ელექტრობის წარმოების, გადაცემისა და განაწილების საშუალებები;
3. დაამონტაჟოს და შეამოწმოს განათება და ელექტრული წრედები საშინაო და მცირე საწარმოო გარემოში;
4. მოიპოვოს და გამოიყენოს საინჟინრო ინფორმაცია საკომუნიკაციო ტექნოლოგიის (ICT) გამოყენებით;
5. გამოთვალოს ფიგურათა მოცულობა, ფართობი და გამოიყენოს მონაცემთა გამოსახვის სტატისტიკური მეთოდები;
6. წაიკითხოს და დახაზოს საინჟინრო ნახაზები სხვადასხვა ტექნიკის, მათ შორის კომპიუტერზე დაფუძნებული ხაზვის სისტემის (CAD) გამოყენებით;
7. შექმნას და წარადგინოს პროექტი;

## პროგრამის დასრულების შემდგომ გასაცემი დოკუმენტი:

კვალიფიკაციის დამადასტურებელი დიპლომი დანართთან ერთად.